ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამის დასახელება: "თარგმანი და კულტურათაშორისი ურთიერთობები" (ქართული და ინგლისური ენების ბაზაზე) **„Translation and Intercultural Studies (based on Georgian and English Languages)"**

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: თარგმანმცოდნეობის მაგისტრი / MA in Translation Studies
სპეციალობა: თარგმანმცოდნეობა / Translation Studies

პროგრამის მოცულობა კრედიტებით:

- პროგრამის მოცულობა – 120 კრედიტი
- სავალდებულო სასწავლო კურსები – 50 კრედიტი
- არჩევითი სასწავლო კურსები – 40 კრედიტი
- სამაგისტრო ნაშრომი – 30 კრედიტი

სწავლების ენა: ქართული ენა

პროგრამის მიზანია მოამზადოს ფართო პროფილის მთარგმნელი ინგლისურიდან ქართულ ენაზე და ქართულიდან ინგლისურ ენაზე, აგრეთვე თარგმანის თეორეტიკოსი და თარგმანის კრიტიკოსი. პროგრამა მიზნად ისახავს ისეთი მთარგმნელის მომზადებას, რომელიც განსწავლული იქნება ინგლისის კულტურასა და ქართულ-ინგლისურ კულტურულ ურთიერთობებში. მთარგმნელი მომზადდება თანამედროვე მეცნიერული მეთოდოლოგიის ათვისების საფუძველზე, რაც ნიშნავს თარგმანის თანამედროვე თეორიის უახლესი მიღწევების გათვალისწინებას პრაქტიკულ საქმიანობაში.
ამგვარად, სამაგისტრო პროგრამა "თარგმანი და კულტურათაშორისი ურთიერთობები" მასში ჩართული აკადემიური რესურსით, სასწავლო და კვლევითი კომპონენტით მიზნად ისახავს, მოიცვას დარგის ღრმა და სისტემური ცოდნა და მაგისტრის მომზადებისას გაითვალისწინოს ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნები. გამომდინარე იქიდან, რომ გაზრდილ საერთაშორისო ურთიერთობების პირობებში მოთხოვნა წარმატებულ მთარგმნელზე დიდია, პროგრამის უპირველესი მიზანია, მოამზადოს კონკურენტუნარიანი მთარგმნელი, რომელიც დააკმაყოფილებს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებს. პროგრამა აგრეთვე უზრუნველყოს საკუთარი კურსდამთავრებულისთვის შესაბამისი და მომიჯნავე სპეციალობებით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

პროგრამით გათვალისწინებული სტუდენტზე ორიენტირებული, კომპლექსური სწავლება მიზანმიმართულია სტუდენტის მრავალმხრივი ინტერესებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილებისაკენ, მისთვის პიროვნული და აკადემიური თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის, ეთიკური იდეალების, კრიტიკული, შემოქმედებითი და პროგრესული აზროვნების გამომუშავებისკენ; კონკურენტუნარიანი პროფესიული კადრის განვითარების, სრულფასოვანი მოქალაქის ჩამოყალიბებისა და ახალგაზრდებში ეროვნულ–ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებისაკენ. ამგვარად, სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი, მომავალზე ორიენტირებული განათლების მიღების შესაძლებლობას, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებას და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას.

სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:

- ბაკალავრის ხარისხი ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში და მათ დარგებში/ქვედაგებში, აგრეთვე ზოგიერთი რეგიონმცოდნეობითი პროფილით (მაგ., ამერიკისმცოდნეობა, აღმოსავლეთმცოდნეობა, კავკასიოლოგია), ასევე ბაკალავრის ხარისხი სამართლისა და ბიზნესის ადმინისტრირების განხრით, ან შესაძლებელია

გავლილი ჰქონდეს დამატებითი (minor) საბაკალავრო პროგრამა ინგლისურ ფილოლოგიაში.

- პროგრამაზე დაშვება შესაძლებელია მხოლოდ ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში.
- პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად საჭიროა ინგლისური ენის B1 დონეზე ცოდნის დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატით (სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე B2 დონემდე ენის ცოდნის გაუმჯობესების პერსპექტივით).
- სასპეციალიზაციო გამოცდა თარგმანის თეორიაში.

სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება

სამაგისტრო პროგრამის წარმატებით დასრულების შედეგად მაგისტრი ფლობს საფუძვლიან ცოდნას თარგმანის თეორიაში, ინგლისის კულტურასა და ქართულ-ინგლისურ კულტურულ ურთიერთობებში. ამასთანავე კურსდამთავრებულს გამომუშავებული აქვს თარგმნის პრაქტიკული ჩვევები ინგლისურიდან ენიდან ქართულად და ქართული ენიდან ინგლისურად. როგორც დარგობრივი (ისტორია, ლიტერატურის ისტორია და კრიტიკა, სოციოლოგია, ეკონომიკა და ბიზნესი, მასმედია და პოლიტიკა, იურისპრუდენცია და სხვა), ასევე მხატვრული ტექსტის ფარგლებში. სამაგისტრო კურსი ითვალისწინებს როგორც წერითი (კომპოზიციისა და სტილისტიკის უნარ-ჩვევების გათვალისწინებით), აგრეთვე ზეპირი თანმიმდევრული თარგმანის დაუფლებასაც.

1.1	თარგმანის ლინგვისტიკის თანამედროვე კონცეფციების ათვისება. თარგმანის თეორიის, როგორც ლიტმცოდნეობის დარგის, ტექსტის ლინგვისტიკისა და სემასიოლოგიის, როგორც თარგმანის ლინგვისტიკის საფუძვლების ცოდნა. თარგმანის ლინგვისტიკის ძირითადი განსხვავების გაცნობიერება თარგმანის თეორიისაგან. ქართული სალიტერატურო ენის ღრმა ცოდნა. ინგლისური ენის საფუძვლიანი დაუფლება იმ თვალსაზრისით, რომ მომავალმა მაგისტრმა წარმატებულად თარგმნოს არა მარტო ინგლისურიდან ქართულად, არამედ ქართულიდან ინგლისურად. თანმიმდევრული თარგმანის, როგორც თარგმანის ზეპირი ფორმის უნარ-ჩვევების ათვისება და მისი განსხვავება წერითი თარგმანისაგან. დარგობრივი თარგმანის სპეციფიკისა და სირთულეების გაცნობიერება. წერითი თარგმანის დაუფლება თეორიული და პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე.	**თარგმანის ლინგვისტიკა** (სავალდებულო) **ინგლისური ენა და თარგმანი** (სავალდებულო) **თანმიმდევრული თარგმანი** (არჩევითი) **აკადემიური ტექსტის (ფილოლოგია, ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა, ფილოსოფია, ფსიქოლოგია, სოციოლოგია და სხვა) თარგმანი** (არჩევითი)

1.2	გაცნობიერება იმისა, რომ ნებისმიერი თარგმანი, განსაკუთრებით ლიტერატურული, კულტურათაშორის ურთიერთობების შედეგია და ამავე დროს ამ კულტურათა შორის კავშირის გაღრმავებას ემსახურება. ქართული თარგმანის ისტორიის ცოდნა, საკუთრივ იმისა, რომ საქართველოში საუკუნეების მანძილზე თარგმანს სოციალურ-კულტურული და საერთაშორისო მნიშვნელობა ენიჭებოდა. მაგისტრატურაში მიღებული ცოდნა აუცილებლად გულისხმობს იმ უცხოური კულტურის ცოდნას, რომელ ენასთანაც გვაქვს ურთიერთობა. ამდენად, მაგისტრანტს მოეთხოვება იცნობდეს ინგლისის კულტურასა და ისტორიას და აცნობიერებდეს ისეთი დიდი ლიტერატურული მიმდინარეობის გავლენას საქართველოზე, როგორიც გახლავთ ინგლისური რომანტიზმი. მიღებული ცოდნის კრიტიკული გააზრება ახალი იდეებისა და შეხედულებების განვითარების მიზნით. მასალის პრაქტიკული და თეორიული ასპექტების ერთმანეთთან დაკავშირება.	**თარგმანი, როგორც კულტურათა დიალოგი** (სავალდებულო) **ქართული თარგმანის ისტორია** (სავალდებულო) **ინგლისური რომანტიზმი და მისი აღქმა საქართველოში (ინგლისურ ენაზე)** (არჩევითი) **ინგლისის კულტურა და ისტორია (English Culture and History)** (არჩევითი)
1.3	ვროპულ და საზოგადოდ მთელ საზღვარგარეთულ მეცნიერებაში დამუშავებული ქართული ლიტერატურის პრობლემების გაცნობა. ქართული ლიტერატურის გაცნობა და მისი შესწავლის დასაწყისი ევროპაში. ქართული ლიტერატურის შესწავლის და დამუშავების ძირითადი ცენტრები საზღვარგარეთ. საზღვარგარეთელი ქართველოლოგები და მათი წვლილი ქართული ლიტერატურის შესწავლასა და პოპულარიზაციაში.	**საქართველო და ქართული მწერლობა დასავლეთ ევროპის ლიტერატურაში** (არჩევითი) **ინგლისური ტრაგიკომედია და ვეფხისტყაოსანი** (არჩევითი)
1.4	მასმედიის ენის, პოლიტიკური ტექსტის ანალიზის ზოგადი თეორიული ცოდნა, მისი ძირეული საკითხების გაცნობიერება. თეორიული ცოდნის გაღმავება და მისი პრაქტიკული გამოყენების გზები. მიღებული ცოდნის რეალური გამოყენების მეთოდები და	**მასმედიისა და პოლიტიკური ტექსტის ანალიზი და თარგმანი** (სავალდებულო)

	შესაძლებლობები.	
1.5	მიღებული ცოდნის გააზრება მისი პრაქტიკაში გამოყენების მიზნით. შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე დასკვნების გამოტანა.	**შეპირისპირებითი ანალიზი და მხატვრული თარგმანის პრაქტიკული კურსი** (არჩევითი) **იურიდიული ტექსტის თარგმანის პრაქტიკული კურსი** (არჩევითი)
1.6	ქართული რეალიზმის შესახებ ძირითადი მოსაზრებების ცოდნა. ქართული რეალიზმის ძირითადი თავისებურებების ცოდნა. XIX საუკუნის ქართველ რეალისტთა მხატვრული და თეორიულ-კრიტიკული მემკვიდრეობის ცოდნა. ქართული რეალიზმის ფორმირება-განვითარების და ამ პრობლემაზე მომუშავე გამოჩენილ მკვლევარ-მოაზროვნეთა მოღვაწეობის არსებითი მომენტების ცოდნა. ქართული რეალიზმის ფილილიგიურ, ფილისოფიურ-ესთეტიკური პრობლემატიკის თეორიული ასპექტების ზოგადი ცოდნა.	**ქართული ლიტერატურული რეალიზმის ძირითადი პრობლემები (XIX ს.)** (არჩევითი)
1.7	ქართული ლიტერატურული რომანტიზმის შესახებ ძირითადი მოსაზრებების ცოდნა. ქართული ლიტერატურული რომანტიზმის ძირითადი თავისებურებების ცოდნა.	**ქართული ლიტერატურული რომანტიზმის ძირითადი პრობლემები** (XIX ს.) (არჩევითი)
1.8	ენაში პრაქტიკული და თეორიული ცოდნის ერთმანეთთან დაკავშირების უნარი და ჩვევები; თარგმნის უნარ-ჩვევები.	**რუსული ენა და თარგმანი** (არჩევითი)
1.9	ერთ-ერთი ევროპული ენის (გერმანულის /ფრანგულის) ან სასპეციალიზაციო ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე მისი სასწავლო და კვლევითი მიზნებისთვის გამოსაყენებლად.	**უცხოური ენა (ინგლისური/გერმანული/ფრანგული)1, 2**

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

მიღებული ცოდნის საფუძველზე მაგისტრს შეუძლია თავისუფლად იმოქმედოს შესაბამის პროფესიულ გარემოში და წარმატებით გაართვას თავი ინგლისურ–ქართულ და ქართულ–ინგლისურ თარგმანს. ამავე დროს მაგისტრს შეუძლია კომპლექსური პრობლემების ახალი, ორიგინალური გზების მოძიება, თარგმანის თეორეტიკული საკითხების კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, რაც დაეხმარება მას გააგრძელოს მუშაობა ამ სფეროში და გამოაქვეყნოს პუბლიკაციები ახალი მიგნებებისა და ჩატარებული კვლევის ირგვლივ. განსაკუთრებით ეხება ეს თარგმანის კრიტიკოსის ჩამოყალიბებას, რაც რეალურად საჭირო საქმეა საქართველოში.

2.1	თარგმანმცოდნეობის, თარგმანის ლინგვისტიკისა და მათი მომიჯნავე დისციპლინების მეთოდოლოგიის გამოყენება მთარგმნელობით საქმიანობაში და სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობაში. ტექნიკურად, ენობრივად, სტილისტურად და შინაარსობრივად გამართული თარგმანის ტექსტის შექმნა.	**თარგმანის ლინგვისტიკა** (სავალდებულო) **თანმიმდევრული თარგმანი** (არჩევითი) **აკადემიური ტექსტის (ფილოლოგია, ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა, ფილოსოფია, ფსიქოლოგია, სოციოლოგია და სხვა) თარგმანი** (არჩევითი) **შეპირისპირებითი ანალიზი და მხატვრული თარგმანის პრაქტიკული კურსი** (არჩევითი)
2.2	განვლილი კურსის შედეგად სტუდენტს უნვითარდება კვლევისა და ანალიზის სათანადო ჩვევები, რაც ეხმარება მას თარგმანი, როგორც ლიტერატურული მოვლენა, დამოუკიდებლად განიხილოს კულტურათა დიალოგის ასპექტში.	**თარგმანი, როგორც კულტურათა დიალოგი** (სავალდებულო); **ქართული თარგმანის ისტორია** (სავალდებულო); **ინგლისური ენა და თარგმანი** (სავალდებულო); **ინგლისის კულტურა და ისტორია (English Culture and History)** (არჩევითი)
2.3	სამეცნიერო ლიტერატურისა და პირველწყაროების მოპოვებისა და დამუშავების უნარი. კვლევითი მუშაობის უნარი.	**საქართველო და ქართული მწერლობა დასავლეთ ევროპის ლიტერატურაში** (არჩევითი); **ინგლისური ტრაგიკომედია და ვეფხისტყაოსანი** (არჩევითი)
2.4	ინგლისური რომანტიზმის ანალიზი და გააზრება ეროვნულ ლიტერატურულ პროცესებთან მიმართებაში.	**ინგლისური რომანტიზმი და მისი აღქმა საქართველოში (ინგლისურ ენაზე)** (არჩევითი)
2.5	პოლიტიკური და მედია ტერმინოლოგიის საკუთარი ლექსიკონის შექმნა და საგაზეთო მასალის წვდომის უნარის განვითარება. ლექსიკის განვითარება და ფუნდამენტური პოლიტიკური სტატიების თარგმნა. უცხოელ ავტორთა პოლიტიკური წიგნებიდან ამოონარიდების თარგმნა, საკუთარი ფრაზეოლოგიური მარაგის შექმნა.	**მასმედიისა და პოლიტიკური ტექსტის ანალიზი და თარგმანი** (სავალდებულო)
2.6	განვლილი კურსის შედეგად სტუდენტს უვითარდება ანალიზის სათანადო უნარი, რაც ეხმარება მას თავად შეასრულოს ადეკვატური და ამასთან, მაღალი დონის თარგმანი.	**იურიდიული ტექსტის თარგმანის პრაქტიკული კურსი** (არჩევითი)
2.7	ქართული რეალიზმის ძირითად პრობლემატიკაზე მუშაობის მეცნიერული	**ქართული ლიტერატურული რეალიზმის ძირითადი პრობლემები**

	პრინციპების გამოყენების უნარი.	**(XIX ს.)** (არჩევითი)
2.8	ქართული ლიტერატურული რომანტიზმის ძირითად პრობლემატიკაზე მუშაობის მეცნიერული პრინციპების გამოყენების უნარი.	**ქართული ლიტერატურული რომანტიზმის ძირითადი პრობლემები** (XIX ს.) (არჩევითი)
2.9	ენათმეცნიერების, რუსული ენის, თარგმანმცოდნეობის, თარგმანის ლინგვისტიკისა და მათი მომიჯნავე დისციპლინების გამოყენება სამეცნიერო-პედაგოგიური და მთარგმნელობითი მოღვაწეობისას.	**რუსული ენა და თარგმანი** (არჩევითი)
2.10	ერთ-ერთ ევროპული ენაზე (გერმანული, ფრანგული) ან სასპეციალიზაციო ინგლისურ ენაზე სასპეციალიზაციო დარგში სამეცნიერო ლიტერატურის გაგება და დამუშავება, ასევე სამეცნიერო ხასიათის ტექსტის შედგენა (საკონფერენციო მოხსენება, სამეცნიერო სტატია და სხვ.) და დარგობრივი პრეზენტაციის მომზადება შესწავლილი ენის შესაბამის უცხოენოვან აუდიტორიაში.	**უცხოური ენა (ინგლისური/გერმანული/ფრანგული)1, 2**

დასკვნის გაკეთების უნარი

მაგისტრატურის წარმატებით დასრულების შემდეგ მაგისტრი შეძლებს რთული და წინააღმდეგობრივი მონაცემების სწორ შეფასებას, მათ სინთეზსა და ანალიზს, რათა დამოუკიდებლად მიიღოს სწორი გადაწყვეტილება.

კურსდამთავრებულს შეუძლია დამოუკიდებლად განსაზღვროს პროფესიული პრობლემები დარგობრივი თუ მხატვრული ტექსტის თარგმნისას, მით უმეტეს, რომ თანამედროვე ლიტერატურა მიმდინარე სიახლეებს შეიცავს ხედვისა და ტერმინოლოგიის თვალსაზრისით, ამდენად მაგისტრს აქვს უნარი, შესაბამისად შეიმუშაოს ახალი იდეები და მეთოდები, რათა გამონახოს დამატებითი რესურსები ამ პრობლემების გადასაჭრელად.

კომუნიკაციის უნარები

- მაგისტრს შეუძლია რთული და სადაო ინფორმაციის ეფექტური გადაცემა დარგის სპეციალისტებისა და ფართო საზოგადოებისათვის;
- შეუძლია წარმატებულად შეასრულოს ზეპირი თანმიმდევრული თარგმანი ინგლისურიდან ქართულად და ქართულიდან ინგლისურად;
- შეუძლია თავისი პროფილის მიხედვით უცხო ენაზე სათანადო ინფორმაციის მიწოდება და მოხსენების გაკეთება ინგლისურენოვან აუდიტორიაში;
- მაგისტრს შეუძლია პროფესიულ წრეებთან ურთიერთობა, როგორც საკუთარი საქმიანობის, ასევე დარგის განვითარების საკეთილდღეოდ. მას აქვს სათანადო ცოდნა და ჩვევები, რომ მონაწილეობა მიიღოს როგორც საკუთარი ქვეყნის, ისე საერთაშორისო კონფერენციების მუშაობაში თარგმანმცოდნეობისა და ქართულ-ბრიტანული კულტურათაშორისი ურთიერთობების პროფილით.

სწავლის უნარი

მაგისტრატურის წარმატებით დამთავრების შემდეგ შეძლებს სწავლის პროცესის დამოუკიდებლად დაგეგმვასა და მართვას.

ღირებულებები
მაგისტრი აკმაყოფილებს ეთიკურ ნორმებს, იცნობს ინტელექტუალური საკუთრების პრინციპებს, მისდევს მათ და იცავს თავის პროფესიულ საქმიანობაში. მას აქვს ენობრივ–კულტურული მრავალფეროვნების ადეკვატური აღქმის უნარი და პატივს სცემს ამას. მაგისტრი გამოირჩევა ტოლერანტობის, შემწყნარებლობისა და პასუხისმგებლობის გრძნობით.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები: სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, სემინარის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, თარგმანის, სამაგისტრო ნაშრომის (ან თარგმანის), დასკვნითი გამოცდის და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (ვერბალური მეთოდი, ვიზუალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, მასალის დაკონსპექტება, ანალიზი და სინთეზი, ახსნა – განამატრებითი მეთოდი, ჯგუფური მუშაობა და სხვ.).

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:
სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: 91 -100 – ფრიადი, A; 81-90 –ძალიან კარგი, B; 71-80– კარგი,C; 61-70–დამაკმაყოფილებელი, D; 51-60–საკმარისი, E; 41-50– ვერ ჩააბარა, FX; 0-40 – ჩაიჭრა, F. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით.

სასწავლო გეგმა: იხ. დანართი № 1

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი ინესა მერაბიშვილი

დასაქმების სფეროები: მაგისტრი დასაქმდება, როგორც მთარგმნელი, თარგმანის თეორეტიკოსი, რომელსაც სამეცნიერო მუშაობასთან ერთად შეეძლება ითანამშრომლოს რედაქციებთან და გამომცემლობებთან, როგორც მთარგმნელმა და თარგმანის კრიტიკოსმა, აგრეთვე, როგორც სტილისტ-რედაქტორმა, იმუშაოს საერთაშორისო ორგანიზაციებში და უზრუნველყოს სათანადო თარგმანი. კერძოდ, პროგრამის კურსდამთავრებულის დასაქმების სფეროებია:

* სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და ცენტრები;
* საელჩოები;
* სხვადასხვა პროფილის სახელმწიფო დაწესებულებები;
* მთარგმნელობითი ბიუროები;
* ფონდები;
* კომპანიები;
* სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები;
* ბიბლიოთეკები;
* გამომცემლობები;
* მასმედია;
* ტურიზმის სფერო და სხვ.

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ:

1. ელგუჯა ხინთიბიძე, პროფესორი
2. თინათინ მარგალიტაძე, პროფესორი
3. ლადო მინაშვილი, ასოცირებული პროფესორი
4. ლელა ებრალიძე, ასისტენტ-პროფესორი
5. ლალი კერესელიძე, მოწვეული აკადემიური დოქტორი

6. ნათია ამირეჯიბი, მოწვეული აკადემიური დოქტორი
7. ლიდია ვესტი, მოწვეული მასწავლებელი
8. ნუგზარ რუხაძე, მოწვეული აკადემიური დოქტორი
9. ელისო გოდუაძე, მოწვეული აკადემიური დოქტორი

ბიოგრაფიული მონაცემები (CV) დართულია; იხ. დანართი № 2

პროგრამის აკადემიურ რესურსთან დაკავშირებით შეიძლება აღინიშნოს, რომ ინგლისური ენისა და თარგმანის კურსს ორი წლის მანძილზე გაუძღვება ბრიტანელი პედაგოგი ლიდია ვესტი.

სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:
თარგმანისა და კულტურათშორისი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა მომზადებულია და ფუნქციონირებს თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თარგმანისა და ლიტერატურათმცოდნეობის ინსტიტუტის ბაზაზე. სამაგისტრო პროგრამის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას სრულად უზრუნველყოფს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თარგმანისა და კულტურათაშორისი ურთიერთობების კაბინეტი, თსუ, მე-4 კორპუსი, ოთახი №312. სალექციო კაბინეტი უზრუნველყოფილია პირდაპირი სატელეფონო ხაზით (ტ.: 225 27 56), ინტერნეტით, ორი კომპიუტერითა და ერთი პრინტერით, აგრეთვე სათანადო დარგობრივი ბიბლიოთეკით (ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე).

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა
სამაგისტრო პროგრამის ***თარგმანი და კულტურათაშორისი ურთიერთობები (ქართული და ინგლისური ენების ბაზაზე)*** ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას.